სამეცნიერო/შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სამეცნიერო /შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს აკადემიის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის და აკადემიის პრორექტორების წინაშე, ასრულებს რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები

1. სამსახურის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიაში სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, ხელი შეუწყოს სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის ზრდას.
2. ხელი შეუწყოს დოქტორანტთა, აკადემიური პერსონალისა და კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
3. სამსახურის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიაში შემოქმედებითი და არტისტული კვლევების პრინციპების დანერგვასა და ინტეგრაციას, ისევე როგორც შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას, შემოქმედებითი მიმართულების განვითარებას.
4. სამსახურის მიზანია სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაცია.
5. საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია.
6. სამსახურის მიზანია, წარმოქმნას ახალი და ხელი შეუწყოს უკვე არსებულ, სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით მიმდინარე, ინსტიტუციური განვითარებისთვის საჭირო პროცესებს.
7. სამსახურის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ხელი შეუწყოს აკადემიის სტრატეგიული ინიციატივების რეალიზაციას.
8. სამსახურის მიზანია სახელოვნებო და შემოქმედებითი კვლევებისა და პროცესების ინტერდისციპლინურ: ჰუმანიტარული მეცნიერებების, ტექნოლოგიური პრაქტიკების, შემოქმედებითი ეკონომიკის, შემოქმედებითი ინდუსტრიების, კონტექსტში განვრცობა.
9. სამსახურის მიზანია სახელოვნებო და შემოქმედებითი კვლევების შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაფართოვება.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციაა ხელი შეუწყოს აკადემიის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით დაფინანსების მოძიებაში, როგორც შიდა ინსტიტუციურ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

2. სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს დაფინანსებული პროექტების მართვის პროცესს და წარმოადგენს შუამავალსა და მონიტორს დონორსა და აკადემიაში ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების განმახორციელებელ გუნდს შორის;
3. სამსახურის ფუნქციაა აკადემიის სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომლების სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზაციას შეუწყოს ხელი როგორც მათი მხრიდან ინიცირებული ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტების მხარდაჭერის, ასევე სამსახურის მხრიდან ინიცირებული ადგილობრივი/საერთაშორისო მიზნობრივი პროექტების მხარდაჭერისა და განხორციელების გზით.
4. სამსახურის ფუნქციაა აკადემიის სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომლების სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზაციას შეუწყოს ხელი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, ფესტივალების, უორქშოფებისა და ტრეინინგების დამოუკიდებლად ან ფაკულტეტებთან/კვლევით ერთეულებთან ერთად ინიცირებით და ორგანიზებით.
5. სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების პროცესების მდგრადობისთვის, სამსახურის ფუნქციაა აკადემიის სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ- თანამშრომლების სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზაციას შეუწყოს ხელი შიდა ინსტიტუციური კონკურსების გამოცხადებისა და ადმინისტრირების გზით.
6. სამეცნიერო და შემოქმედებითი პროცესების მდგრადობისთვის, სათანადო ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს მოუმზადოს რეკომენდაციები აკადემიის ბიუჯეტში სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;
7. სამსახურის ფუნქციაა ინსტიტუციური განვითარების, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროცესების წარმოქმნის მიზნით სამეცნიერ-კვლევით ერთეულებთან და ფაკულტეტებთან ერთად შეიმუშაოს სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით სტრატეგიული ხედვები და მათი განხორციელების გზები. მოახდინოს სტრატეგიული მიმართულებების განხორციელების გზების რევიზირება, მონიტორინგი და ყოველწლიური განახლება.
8. სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის მიზნით მოიძიოს ახალი, უცხური ინსტიტუციები, გაამყაროს უკვე არსებული კავშირები, ხელი შეუწყოს ყველა, ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო აქტივობებს.
9. აკადემიის შესაბამის სამსახურებთან და ფაკულტეტებთან კოლაბორაციის გზით მოახდინოს თსს აკადემიაში მიმდინარე, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების შედეგების ვალიდაცია და მათი ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროცესში.
10. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, გაუწიოს კოორდინაცია აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო ერთეულების შესაბამისი სამსახურების მუშაობის პროცესს.
11. ხელი შეუწყოს და დააინიციროს ინტერდისციპლინური ფოკუსის მქონე აქტივობები.
12. შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით, გარდაქმნას თსს აკადემიის სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების შედეგები კომერციულად მომგებიან პროდუქტად, ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ეკონომიკის პრინციპების დანერგვასა და შემოქმედებითი და ინოვაციური მეწარმეობის თსს აკადემიაში მაქსიმალურ ინტეგრაციას.
13. ფაკულტეტებთან ერთად, კონკურსის გზით, დოქტორანტურის სტუდენტთა სტატიების საერთაშორისო რეცენზირებისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.
14. აკადემიაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ანალიზისა და ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადება იმ სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობას.
15. სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორისთვის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოსთვის.

მუხლი 4. უფლებამოსილებები

1. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია აკადემიის სამეცნიერ-კვლევით ერთეულებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო ცენტრისა და მეცნიერ-თანამშრომლის წლიური სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობების მინიმალური მოთხოვნების დადგენის პროცესში.
2. ფაკულტეტებთან და ხარისხის სამსახურებთან ერთად, წლიური სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობების შეფასების დოკუმენტის შესაქმნელად, მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების წლიური სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობების მინიმალური მოთხოვნების დადგენის პროცესში.
3. სამსახურის უფლებამოსილებაა მონიტორინგი გაუწიოს სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით მიმდინარე პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს პროცესების გარე ექსპერტიზა, ასევე მოითხოვოს საქმიანობის ანგარიშები პროექტის გამხორციელებელი ჯგუფისგან, კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური პერსონალისგან ან აკადემიის სხვა სამსახურებისგან.
4. სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაციიდან, აკადემიის სამეცნიერო- კვლევითი სტრუქტურებიდან, სხვა სამსახურებიდან სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
5. საგანმანათლებლო ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ტიპის სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი, ლაბორატორია, რეზიდენცია და სხვ.) ჩამოყალიბებისას საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროგრამის/პროექტის განხილვა დასკვნის მომზადების მიზნით.
6. სამსახური უფლებამოსილია სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან და ბიზნეს სექტორთან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელით კონტაქტები დაამყაროს.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის შემადგენლობა:
   - სამსახურის უფროსი
   - მთავარი სპეციალისტი
   - სპეციალისტი
   - უმცროსი სპეციალისტი
2. სამსახურის უფროსი

   ა) სამსახური წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

   ბ) სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიის რექტორის შუამდგომლობით.

სამსახურის უფროსი:

1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იცავს აკადემიის წესდებას, სამსახურის დებულებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.
2. ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას.
3. პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
4. პასუხისმგებელია სამეცნიერო/შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგზე.

5. სამსახურის დებულების თანახმად ახდენს თსსა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი სამუშაოს შეფასებას წელიწადში ერთხელ.
6. ყოველწლიურად აფასებს თსსა კვლევითი ერთეულების მუშაობას წინასწარ შემუშავებული ფორმების მეშვეობით.
7. ამზადებს და ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას.
8. წარადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს მოთხოვნის შესაბამისად.
9. ორგანიზებას უწევს ამ დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს აკადემიის რექტორს, პრორექტორებსა და აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით.
10. წარუდგენს აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს შტატების და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.
11. შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად.
12. ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას და მათ შესრულებას.
13. ხელმძღვანელობს თსსა კონტაქტების დამყარებას და განვითარებას უცხოურ პატნიორ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობების კუთხით.
14. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების ანალიზს წარუდგენს თსსა აკადემიურ საბჭოს.
15. წარმოადგენს სამსახურს მართვის ორგანოებთან, საგანმანათლებლო ერთეულებთან/ინსტიტუტებთან და სხვა სამსახურებთან.
16. ახორციელებს ამ დებულებით, აკადემიის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
17. სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის დავალებებს.
18. რექტორის და პრორექტორების დავალებებით ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

- ამ მუხლში მითითებული ჩამონანთვალით არ შემოიფარგლება სამსახურის შტატით/შტატგარეშე პოზიციით განსაზღვრული თანამდებობების/პოზიციების შესაძლო სია, რომელთა სრული ჩამონათვალი განისაზღვრება აკადემიის სტრუქტურით და ამ მუხლში მითითებული თანამშრომლების სხვა შესაძლო ფუნქცია-მოვალეობები და სამსახურის სხვა თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მათი შრომის აღწერილობით.

მუხლი 6. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

სამსახურში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.